

საქართველოს კანონი

„მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 28, 15.10.2001, მუხ. 113) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მეორე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2. კანონის მიზანი

1. ამ კანონის მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა იმ მავნე ზეგავლენისაგან, რომელიც დაკავშირებულია ალკოჰოლური სასმელების და თამბაქოს მოხმარება-გასაღებასა და აზარტულ თამაშობებში მონაწილეობასთან, აგრეთვე, არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის წესების დარღვევისგან.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის V¹ თავი – არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვის წესები

თავი V¹

არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვის წესები

მუხლი 16¹

1. არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დარღვევის თაობაზე დავის შემთხვევაში გამოიყენება „სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი.
2. დაუშვებელია არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დარღვევა ისეთი დანაშაულის მედიაში გაშუქებისას, როდესაც არასრულწლოვანი წარმოადგენს ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავდებულს, დაზარალებულს, მოწმეს, პირს, რომელსაც არ გააჩნია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტატუსი, თუმცა პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება იმ დანაშაულს, რაც წარმოადგენს მედიის გამოხატვის საგანს.
3. დაუშვებელია მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობის გარეშე არასრულწლოვანისგან აღებული ინტერვიუს გამოქვეყნება / გავრცელება არასრულწლოვანის იდენტიფიცირების დარღვევით, თუკი ინტერვიუ ეხება კონკრეტულ დანაშაულს.

16² მუხლი

1. ამ თავით გათვალისწინებული წესების დაუცველობა იწვევს დამრღვევის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.
2. დამრღვევი თავისუფლდება ამ თავით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან, თუკი დაასაბუთებს რომ არასრულწლოვანის კონფიდენციალურობის დარღვევით თავიდან იქნა აცილებული სახელმწიფოს, საზოგადოების ან სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის არსებითი ზიანი, როდესაც მისი პრევენცია შეუძლებელი იყო სხვა საშუალების გამოყენებით და არასრულწლოვანისათვის მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანს არ აღემატება.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

25 დეკემბერი 2008 წელი